KARR1352281357119

№13-56798
07 / ივნისი / 2019 წ.

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ გიორგი გოგაძეს

საქართველოს გენერალური პროკურატურის
ადმინისტრაციის უფროსის
მაგდა კაპანაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2008 წლის 21 ოქტომბრის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის და სხვა მიღწევებისათვის, პროკურატურის მუშაკის წასახალისების ერთ-ერთ ფორმად გამოიყენებოდა „პროკურატურის საპატიო მუშაკის” წოდების მინიჭება და შესაბამისი სამკერდე ნიშნით დაჯილდოება.

2018 წლის 30 ნოემბერს მიღებული „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ტერმინი „პროკურატურის მუშაკი“ შეიცვალა „პროკურატურის თანამშრომლით“ და ამავე კანონის 78-ე მუხლის თანახმად სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და სხვა მიღწევებისათვის პროკურატურის თანამშრომლის წასახალისებლად ერთ-ერთ ღონისძიებად კანონის 78-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა „პროკურატურის საპატიო თანამშრომლის“ წოდების მინიჭება და შესაბამისი სამკერდე ნიშნით დაჯილდოება.

საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 29 მაისის N76-გ ბრძანებით დამტკიცდა ,,პროკურატურის საპატიო თანამშრომლის“ სამკერდე ნიშნის ფორმა.

2018 წლის 2 მაისის N119 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ დაამზადებინა და შეისყიდა სამკერდე ნიშნები „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ დასახელებით.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ დასახელებით შესყიდული სამკერდე ნიშნების რესტავრაცია, ახალი დასახელების „პროკურატურის საპატიო თანამშრომლის“ გამოყენებით (6 ერთეული სამკერდე ნიშნის რესტავრაცია).

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მაგდა კაპანაძე